ოქმი:**ო63.6322070001**
თარიღი:**11/03/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 5

ქ. სამტრედია. 7 მარტი, 2022 წელი.

2022 წლის 7 მარტს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ილია მჟავია, ჯონი თევზაძე, ბექა თევზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური (ონლაინ ჩართვა), ემზარ შუბლაძე, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, ავთანდილ თადუმაძე, ქეთევან კუტალაძე, მარიამ ბარბაქაძე (ონლაინ ჩართვა), ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის'' ბუღალტერი, ნათია ლომინეიშვილი.

2. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს ხელმძღვანელი, ტატიანა გოგუაძე. ბუღალტერი, ციცინო ქაჯაია.

3. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს ხელმძღვანელი, ვეფხია სტურუა.

4. ა.(ა).ი.პ. "სახლი თანადგომა"-ს ხელმძღვანელი, ზემინარ ბოხუა. ბუღალტერი, ნანული კიკაბიძე.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე; საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი, მარინა ანდღულაძე. დაგეგმვის განყოფილების უფროსი, მედეა ლეჟავა.

6. მერის წარმომადგენელი მელაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფიკო კიკაჩეიშვილი.

7. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტი, გიორგი მელქაძე.

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ნორა იანიკოვი.

9. შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე''-ს კორესპოდენტი, თეა ბაბუნაშვილი.

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომას სიტყვით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარემ - ,,გამარჯობა ქალბატონებო და ბატონებო! პატივცემულო სტუმრებო! მადლობას გიხდით მობრძანებისთვის და თქვენი მოვალეობის ღირსეულად შესრულებისთვის. დღეს შვიდი მარტია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღე. გისურვებთ მშვიდობიან დღეს. თუმცაღა თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მშვიდობიანი დღეები ყველგან არ არის, მოგეხსენებათ რა მძიმე ვითრებაა ჩვენს მოძმე უკრაინაში. დღეს მე-12 დღეა მძვინვარებს ომი სხვადასხვა ქალაქებში. ომი მასობრივი განადგურების სიმბოლოა და მისი თანმხლები შედეგები კარგად მოგეხსენებათ. ნგრევა, დასახიჩრებული ჯარისკაცები, ქალები, ბავშვები, ხანდაზმულები, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობა. აღსანიშნავია და მისაბაძია უკრაინელი ხალხის, მათი ლიდერების ერთობლივი წინააღმდეგობა და თავგანწირვა თავიანთი სამშობლოსათვის.

ბატონო კოლეგებო, პატივცემულო სტუმრებო, ყველა ერთად საქართველოსათვის. ახლა, განსაკუთრებულად მძიმე ჟამს, გვმართებს უდიდესი სიფრთხილე, წინდახედულება და გააზრებული ნაბიჯების გადადგმა. უნდა გავიაროთ ბეწვის ხიდზე. თანგრძნობასა და თანადგომას გამოვხატავთ უკრაინელი ხალხის მიმართ და გულწრფელად ვუცხადებთ სოლიდარობას.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია ვგმობთ რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებულ პროცესებს. თანადგომასა და სოლიდარობას ვუცხადებთ უკრაინელ ხალხს და უდიდეს პატივს მივაგებთ ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავდადებულ ადამიანებს. გთხოვთ, წუთიერი დუმილით პატივი მივავგოთ მათ ხსოვნას. (შესრულდა უკრაინის სახელმწიფო ჰიმნი).

გაცნობებთ, რომ ჩვენს სხდომას, ონლაინ რეჟიმში, ჩაერთვნენ საკრებულოს წევრები: კობა ძიძიგური და მარიამ ბარბაქაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში მდებარე, 601.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის (განაშენიანების ფართი 596 კვ.მ.), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.42.002 - საჭიდაო დარბაზის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი”-სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი–438726452), უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

2. ქალაქ სამტრედიაში, ჩხეიძის ქ. №1-ში მდებარე, 278.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული №1 შენობა-ნაგებობის (განაშენიანების ფართი 150 კვ.მ.), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.174 - საჭიდაო დარბაზის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი”-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–438726452) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ტ.ცომაია./

3. ქალაქ სამტრედიაში, ჩხეიძის ქ. №1-ში მდებარე, 220.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული №1 შენობა-ნაგებობის, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.204 - საჭიდაო დარბაზის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი”-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–438726452) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე, 145000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.57.275), საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის‘’, 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №g-63.63213542 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

6. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი’’-ს, 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Ng-63.632135416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

7. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის g-63.632135413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

8. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, "სახლი თანადგომა"-ს, 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Ng-63.632135526 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

9. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის იანვრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

10. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2021 წლის ანგარიშის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

11. სხვადასხვა.

კენჭი ეყარა დღის წესრიგს წარმოდგენილი სახით.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (33 ხმით) დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის მე-11 საკითხად (სხვადასხვაში), განცხადების გაკეთების ნებართვა ითხოვა, საკრებულოს წევრმა, ემზარ შუბლაძემ.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში მდებარე, 601.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის (განაშენიანების ფართი 596 კვ.მ.), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.42.002 - საჭიდაო დარბაზის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი”-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–438726452), უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე’’.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 23 თებერვლის **N: 62-622205473** წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში მდებარე, 601.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის (განაშენიანების ფართი 596 კვ.მ.), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.42.002 - საჭიდაო დარბაზის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი”-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–438726452) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანს”, (საიდენტიფიკაციო კოდი–438726452) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში მდებარე 601.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა (განაშენიანების ფართი 596 კვ.მ.), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.42.002 - საჭიდაო დარბაზი.

- საჭიდაო დარბაზის, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობის ვადად

განისაზღვროს 10 (ათი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში მდებარე, 601.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის (განაშენიანების ფართი 596 კვ.მ.), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.42.002 - საჭიდაო დარბაზის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი”-სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი–438726452), უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე’’.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,ქალაქ სამტრედიაში, ჩხეიძის ქ. №1-ში მდებარე, 278.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული №1 შენობა-ნაგებობის (განაშენიანების ფართი 150 კვ.მ.), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.174 - საჭიდაო დარბაზის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი”-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–438726452) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე’’.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 23 თებერვლის **N: 62-622205473** წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ქალაქ სამტრედიაში, ჩხეიძის ქ. №1-ში მდებარე, 278.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული №1 შენობა-ნაგებობის (განაშენიანების ფართი 150 კვ.მ.), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.174 - საჭიდაო დარბაზის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი”-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–438726452) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანს”, (საიდენტიფიკაციო კოდი–438726452) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს ქალაქ სამტრედიაში, ჩხეიძის ქ. №1-ში მდებარე, 278.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული №1 შენობა-ნაგებობა (განაშენიანების ფართი 150 კვ.მ.), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.174 - საჭიდაო დარბაზი.

- საჭიდაო დარბაზის, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობის ვადად განისაზღვროს 10 (ათი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,ქალაქ

სამტრედიაში, ჩხეიძის ქ. №1-ში მდებარე, 278.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული №1 შენობა-ნაგებობის (განაშენიანების ფართი 150 კვ.მ.), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.174 - საჭიდაო დარბაზის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი"-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–438726452) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,ქალაქ სამტრედიაში, ჩხეიძის ქ. №1-ში მდებარე, 220.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული №1 შენობა-ნაგებობის, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.204 - საჭიდაო დარბაზის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი"-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–438726452) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 23 თებერვლის **N: 62-622205473** წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ქალაქ სამტრედიაში, ჩხეიძის ქ. №1-ში მდებარე, 220.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული №1 შენობა-ნაგებობის, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.204 - საჭიდაო დარბაზის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი"-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–438726452) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანს", (საიდენტიფიკაციო კოდი–438726452) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს ქალაქ სამტრედიაში, ჩხეიძის ქ. №1-ში მდებარე 220.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული №1 შენობა-ნაგებობა, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.204 - საჭიდაო დარბაზი.

- საჭიდაო დარბაზის, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობის ვადად განისაზღვროს 10 (ათი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,ქალაქ სამტრედიაში, ჩხეიძის ქ. №1-ში მდებარე, 220.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული №1 შენობა-ნაგებობის, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.204 - საჭიდაო დარბაზის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი"-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–438726452) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის

მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე, 145000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.57.275), საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 23 თებერვლის N: 62-622205473 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე, 145000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.57.275), საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე, 145000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.57.275) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 36500.00 (ოცდათექვსმეტი ათას ხუთასი) ლარი.

- ბიჯი განისაზღვროს 2000.00 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 20000.00 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით.

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

აზრი გამოთქვეს: ემზარ შუბლაძემ,ვალერიანე ფოცხვერიამ, გივი ჯულაყიძემ, ვაჟა სტურუამ.

ემზარ შუბლაძე - აღნიშნული მიწის ნაკვეთის გასხვისებასა და აუქციონზე გატანასთან დაკავშირებით,როგორც მე ვიცი წინააღმდეგი იყო მერის წარმომადგენელიც და მოსახლეობაც. ისინი ითხოვდნენ იჯარით გაცემას. რატომ არ გადაწყდა საკითხი მათ სასარგებლოდ?

მომხსენებლმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი, პირადად მე ადგილზე გასვლით შევამოწმე. ქონება მელაურის თემის საკუთრებაა, მაგრამ სოფლიდან დაცილებულია დაახლოებით 22 კმ.-ით. ფაქტიურად მთისძირში უნდა ჩახვიდეთ და რიონის ნაპირებისკენ 6 კილომეტრი უნდა გადაადგილდეთ. ჩემთვის ცნობილია, რომ საკითხი საკრებულოში შემოსულია გასულ წელს. ადგილობრივ მოსახლეობას ქონდა სურვილი, რომ თავად მოუვლიდნენ მიწას. საკრებულოს წევრებმა, საკითხის უკეთ შესწავლისა და მოსახლეობის სურვილის გათვალისწინების მიზნით, შეაჩერეს განხილვა და დაელოდნენ მერიის და მოსახლეობის მხრიდან რაიმე გადაწყვეტილების მიღებას. როდესაც ვნახე ეს მიწა აღმოჩნდა, რომ იქ დაახლოებით 10 წელიწადია საერთოდ არავინ არ შესულა და არაფერი არ გაკეთებულა. ჩვეულებრივად ტყედაა წასული. მიწის ნახვის ერთ-ერთი მიზანი იყო ისიც, რომ საკმაოდ დაბალ ფასადაა მიწა გამოტანილი და დამაინტერესა რატომ არის ასე.

აღმოჩნდა რომ მიწა იმდენადაა გავერანებული, გატყევებული და ეკალ-ბარდებით დაფარული. ბოლომდე ვერ შევედი, კატასტროფული მდგომარეობაა. თუ ის მიწა წელს არ გავყიდეთ, არ გამოუჩნდა პატრონი, გაისად საერთოდ ვერ გავყიდით.

ვაჟა სტურუა - ბატონ ემზარს მინდა ვუპასუხო. გაწულ წელს ნამდვილად მოსახლეობიდან იყო შემოსული მოთხოვნა, მიწის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით. საკრებულოს სხდომაზე წინააღმდეგი იყო მერის წარმომადგენელი მელაურის თემში და მაჟორიტარი დეპუტატი. საკრებულომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეჩერდეს საკითხი იქედან გამომდინარე, რომ სოფლის მოსახლეობას ესარგებლა და გაეკეთებინათ იჯარა, შესაბამისად ჩვენ არ მივეცით თანხმობა მიწის აუქციონზე გატანას. საკითხის უკეთ, კანონის შესაბამისად და მოსახლეობის ინტერესების გათვალისიწნების მიზნით, შესწავლისათვის წერილობითი მიმართვა გადაეგზავნა მერიას. ერთი წელი იყო ეს მიწა გაჩერებული. შეეძლო მოქალაქეებს მიემართა მერიისათვის და იჯარით აეღოთ მიწა, თუმცა ეს არ მოხდა. დღეის მდგომარეობით ამ მიწაზე მოთხოვნა გაკეთებული აქვს ხუთ პიროვნებას. ჩვენ უკვე არ გვაქვს უფლება ვინმე კონკრეტულ პიროვნებას გავუფორმოთ იჯარა, ჩვენი ვალდებულებაა და შესაბამისად კანონის მოთხოვნაც არის, რომ თუ ერთზე მეტი დაინტერესებული პირია უკვე უნდა გავიდეს აუქციონზე და აუქციონის წესით უნდა მოხდეს გასხვისება.

ტარიელ ცომაია - მიმდინარე წლის 23 თებერვალს კვალვ შემოვიდა საკითხი და უკვე წარმოდგენილია, როგორც საპრივატიზაციო ობიექტი. კომისიურად საკითხის განხილვას ესწრებოდა სოფლის წარმომადგენელი, დაინტერესებული პირები და მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი. გაირკვა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განცხადება შემოტანილი აქვს რამოდენიმე პირს. სოფლის მოსახლეობიდან თითქმის ერთი წლის მანძილზე რაიმე აქტივობა არ დაფიქსირებულა. მათმა სხდომაზე განაცხადეს, რომ შესყიდვის საშუალება არა აქვთ და აუქციონში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. მაგრამ გამოთქვეს სურვილიო, რომ გაყიდული თანხიდან გარკვეული ნაწილი მოხმარდეს მელაურის თემს. აღსანიშნავია, რომ მიწა მდებარეობს ისეთ ადგილას, სადაც მდინარე რიონი ესაზღვრება და გასულ წელთან შედარებით, ადგილობრივების თქმით, დაახლოებით ერთ მეტრამდე მიწა წაღებული აქვს. ჩასატარებელია ნაპირსამაგრი სამუშაოები, ეს მიწა არის გასაკულტურებელი (ხეები უნდა ამოიძირკვოს), ჭირდება გარკვეული სამუშაოების ჩატარება. ეს გარემოება იწვევს იმას, რომ საწყისი საპრივატიზაციო თანხა წარმოდგენილია 36500 ლარით. ასევე პროექტში მითითებულია, რომ საგარანტიო თანხა უნდა იყოს 20000 ლარი. ერთობლივი მსჯელობით მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ 1)გაიზარდოს საწყისი საპრივატიოზაციო თანხა 43500 ლარამდე და 2) საგარანტიო თანხა შემცირდეს 10000 ლარამდე, რაც გამოიწვევს კონკურენციის გაზრდას.

ვალერიანე ფოცხვერია - საკრებულოს წევრების ვალდებულება არის რომ დავეხმაროთ მერიას შეივსოს ბიუჯეტი. ერთ-ერთი ბიუჯეტის შევსებისა ის არის უსარგებლო მიწების აუქციონზე გამოტანა, ან თუნდაც იჯარა. ჩემი თხოვნა იქნება აღწერილი იქნას მუნიციპალიტეტში ყველა მიწა, რაც არის გასაიჯარებელი- გავაიჯაროთ და რაც აუქციონზეა გამოსატანი გავყიდოთ, შესაბამისად პატრონი მივუჩინოთ ჩვენს ქონებას. ტურებადაა ქცეული და გავერანებულია ჰექტრობით მიწა. რომელ სოფელშიც არ უნდა ჩახვიდეთ, სკეპტიკურად უყურებენ მიწის გაიჯარებას. საჭიროა კანონის შესაბამისად ვიმოქმედოთ. ზოგადად თუ პიროვნება დაინტერესბულია იჯარის აღებით, ჩვენ ხელს არ ვუშლით ამ გადაწყვეტილების განხორციელებაში, მაგრამ როცა კონკურენციაა და ორი ან მეტი გამოჩნდება აუცილებელია გამოვაცხადოთ აუქციონი. რამოდენიმე პიროვნებას ვიცნობ, რომლებიც არიან დაინტერესებულნი ამ მიწის შესყიდვით. ჩვენი ინტერესია

პატრონი გაუჩნდეს მიწას, გაცილებით მეტს ქონდეს სურვილი მიწის შეძენის, მოვლისა და პატრონობის.

გივი ჯულაყიძე - ჩემთვის ცნობილია მრავალი მაგალითი იმისა, რომ სოფლებში, სადაც მოხდა აუქციონზე მიწის გაყიდვა, მოსახლეობას ერთმანეთში და ასევე და ხელმძღვანელობას შორის გარკვეული დაძაბული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ვინაიდან აღნიშნული მიწის ნაკვეთით დაინტერესებული არის მელაურის თემის სოფლის მაცხოვრებლები, პირადად მე თავს შევიკავებ და ვერ დავუჭერ მხარს წარმოდგენილ პროექტს. (რაც შეეხება ტექნიკურ ცვლელებებს, ჩემს მხარდაჭერას დავაფიქსირებ).

ემზარ შუბლაძე - ჩვენი ფრაქციის წევრები მხარს დავუჭერთ პროექტში ტექნიკურ ცვლილებას, მაგრამ ვინაიდან გასულ წელს ამ მიწის ირგვლივ მოსახლეობის მხრიდან იყო პრეტენზიები და გაურკვევლობა (თუმცა მერის წარმომადგენელი, სოფლის მოსახლეობის სახელით, დღეს თანხმობას აცხადებს), მთლიანად განკარგულების დამტკიცებისას, კენჭისყრის პროცესში არ მივიღებთ მონაწილეობას, თავს შევიკავებთ.

კენჭისყრაზე დადგა ორი წინადადება:

1) **განხორციელდეს ცვლილება წარმოდგენილი პროექტის 1.3. პუნქტში. კერძოდ,** ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე 145000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.57.275) საწყის საპრივატიზებო საფასურად, ნაცვლად 36,500 ლარისა, განისაზღვროს 43500.00 (ორმოცდასამი ათას ხუთასი) ლარი.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ ცვლილებას.

კენჭისყრის შედეგად (32 ხმით, წინააღმდეგი 1 - კობა ძიძიგური), განხორციელდა ცვლილება პროექტის 1.3 პუნქტში და ის ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ,,1.3. ელექტრონულ აუქციონზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე 145000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.57.275), საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 43500.00 (ორმოცდასამი ათას ხუთასი) ლარი.

2) **განხორციელდეს ცვლილება წარმოდგენილი პროექტის 1.5. პუნქტში. კერძოდ,** ელექტრონულ აუქციონზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე 145000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.57.275) საგარანტიო თანხა, ნაცვლად 20000 ლარისა, განისაზღვროს 10000.00 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ ცვლილებას.

კენჭისყრის შედეგად (32 ხმით, წინააღმდეგი 1-კობა ძიძიგური), განხორციელდა ცვლილება პროექტის 1.5 პუნქტში და ის ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ,,1.5. ელექტრონულ აუქციონზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე 145000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.57.275) საგარანტიო თანხა განისაზღვროს 10000.00 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

აღნიშნული საკითხის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას, თავი შეიკავა და კენჭისყრის პროცესში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს 7-მა წევრმა: ე.შუბლაძე, დ.ნიკოლეიშვილი. ა.თადუმაძე. ქ.კუტალაძე, აკ.მინაშვილი, მ.ბარბაქაძე, კ.ძიძიგური).

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით, წინააღმდეგი 1 - გივი ჯულაყიძე.), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე, 145000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.57.275), საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ''.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის'', 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №გ-63.63213542 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის **24 თებერვლის N : 62-622205573** წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის, სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 0.20 ათ. ლარით და შესაბამისად სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 0.20 ათ. ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის'', 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №გ-63.63213542 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ''.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს, 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის **24 თებერვლის N : 62-622205575** წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის, ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან/დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 0.80 ათ. ლარით, ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 1.00 ათ. ლარით და შესაბამისად საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის,

ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 1.00 ათ. ლარით, ხოლო კომპიუტერული ტექნიკის ხარჯის მუხლში 0.80 ათ. ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს, 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის გ-63.632135413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის **24 თებერვლის**

N:62-622205574 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის, საჭიდაო კლუბი „ფალავანი“-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების მუხლში თანხა მცირდება 4.80 ათ. ლარით და შესაბამისად სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 4.20 ათ. ლარით. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 0.60 ათ. ლარით. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია ჩხეიძის ქუჩა N1-ში მდებარე საჭიდაო დარბაზის სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის გ-63.632135413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, "სახლი თანადგომა"-ს, 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135526 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის **24 თებერვლის N : 62-622205576** წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის, „სახლი თანადგომა“-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკთხს. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 0.17 ათ. ლარით, ელექტო-ენერგიის ხარჯის მუხლში 0.30 ათ. ლარით და შესაბამისად სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან/ დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 0.11 ათ. ლარით, ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 0.06 ათ. ლარით, ხოლო შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში 0.30 ათ. ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, "სახლი თანადგომა"-ს, 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135526 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, ,,ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის იანვრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ’’.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის **10 თებერვლის N:62-622204142** წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის, იანვრის თვის შესრულებას და შესრულების ანალიზს თანდართული ფორმების მიხედვით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის იანვრის თვის შემოსავალმა შეადგინა 1675,3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 112,0 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 1116,9 ათასი ლარი, რაც იანვრის თვის გეგმის 94,6 %-ია. აქვე უნდა ავღნიშნოთ , რომ დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 1110,4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა-94,9 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 6,4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 64,0 %-ით, ქონების(იურიდიულ და ფიზიკურ პირთა) გადასახადით მიღებულია -0,1 ათ.ლარი, გეგმა-1,0 ათ. ლარი შესრულება - 10,0%-ი.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

აზრი გამოთქვეს: ემზარ შუბლაძემ, გივი ჯულაყიძემ.

გამომსვლელების ყველა შეკითხვაზე ამომწურავი პასუხი გასცა, მერიის საფინანსო სამსახურის დაგეგმვის განყოფილების ხელმძღვანელმა, მედეა ლეჟავამ.

დაადგინეს: ,,ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის იანვრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ'', მიღებულია ცნობად.

ნუგზარ ჯამბურიამ აღნიშნა, ჩვენ ქალთა წრეს, ლამაზ საზოგადოებას, სიცოცხლის ელფერს, ჩვენი პატივისცემა. დიდებული ადამიანები ბრძანდებიან, ტრიბუნასთან ქალბატონი დგას, მოდით გულთბილად, გულღიად, დიდი სიყვარულით ქალთა დღე, 8 მარტი, მივულოცოთ ყველა ქალბატონს. გისურვებთ წამრატებებს და წინსვლას ცხოვრებაში, ბედნიერება და ულევი სიხარული თითოეულ თქვენგანს.

აპარატის მოვალეობის შემსრულებელმა, ნორა იანიკოვმა, საკრებულოს დარბაზში მყოფ ქალბატონებს, საკრებულოს სახელით, გადასცა ყვავილების ლამაზი თაიგული.

ბატონ ნუგზარს, ქალათა სახელით, ამ ლამაზი, სასიამოვმო და კეთილშობილური დამოკიდებულებისათვის, დიდი მადლობა გადაუხადა მანანა სირბილაძემ.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, ,,ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2021 წლის ანგარიშის შესახებ''.

მომხსენებემა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის **10 თებერვლის N : 62-622204125** წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2021 წლის ანგარიშს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შიდა აუდიტის სამსახურის წლიური ანგარიშის მომზადების საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ, საქართველოს კანონი. კანონის შესაბამისად წლიური ანგარიშის წარდგენა ხდება მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე. სამსახურის წლიური ანგარიში ეფუძნება 2021 წლის განსაზღვრულ მიმართულებებს, აქტივობებს, რისკ-ფაქტორების შეფასების შედეგების მიხედვით დაგეგმილი წლისათვის განსაზღვრულ პრიორიტეტებსა და შიდა აუდიტის სუბიექტის განკარგულებაში არსებულ რესურსებს. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიზანს წარმოადგენდა გეგმით გათვალისწინებული აუდიტორული შემოწმებების ჩატარება. ვინაიდან, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის განყოფილება განიცდიდა კადრების ნაკლებობას, შესაბამისად ვერ მოხერხდა გეგმით გათვალისწინებული აუდიტორული შემოწმების ჩატარება სრულად.

2021 წელს სამსახურის მიერ ჩატარდა 1 აუდიტორული შემოწმება, რომლის სახე იყო სისტემური და ფინანსური აუდიტი. აუდიტის ობიექტს წარმოადგენდა ა.(ა.)ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა. შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მოხდა 6 რეკომენდაციის გაცემა და აღნიშნული ანგარიში გადაეგზავნა საკრებულოს განსახილველად, აუდიტორული შემოწმებისას გამოვლინდა მიგნებები და გაიცა რეკომენდაციები.

მომზადდა და გაიცა რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა, რომელიც გაწერილია დროის მიხედვით.

2021 წელს ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის (ჰარმონიზაციის ცენტრის) მიერ საპილოტედ რამდენიმე მუნიციპალიტეტთან ერთად შეირჩა სამტრედიის მუნიციპალიტეტი. აღნიშნული პროექტის შედეგად მოხდა რისკებზე დაფუძნებული სტრატეგიული გეგმისა და და წლიური გეგმის პროექტის შემუშავება. პროექტი მოიცავდა სამ ფაზას. პირველი ფაზა: აუდიტის სამყაროს და რისკ ფაქორების განსაზღვრა, რისკების შეფასება, ინტერვიუები, კითხვები აუდიტის სუბიექტების ხელმძღვანელებთან და მიგნებების იდენტიფიკაცია. მეორე ფაზა: წარმატების არსებულ წინა პირობასთან დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავება და მესა ფაზა: საბოლოო სტრატეგიული გეგმის პროექტის შექმნა და აღნიშნული სამ წლიანი გეგმის საფუძველზე წლიური გეგმის პროექტის შექმნა . პროცესი მოიცავდა 3 თვიან პერიოდს, რომლის მოწონებაც მოხდა ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ექსპერტების მიერ.

წლის განმავლობაში სამსახური ახდენდა მერიის ცალკეული დავალებებისა და

დაინტერესებული მხარეების მიერ მომართვის საფუძველზე წერილობითი პასუხების გაცემას და მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას ჩატარებულ აუდიტზე, სამოქმედო გეგმებსა თუ გაწეულ რეკომენდაციებზე.

სამსახურის მიერ შესრულდა დამატებითი სამუშაო. კერძოდ, სახელმწიფო აუდიტის, აუდიტორების თხოვნის საფუძველზე დახმარება გაგვეწია მათთვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე არსებული ინფორმაციის მოძიება/ დაკაბადონებაზე. მოვახდინეთ სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან არსებული მდგომარეობის იდენტიფიკაცია.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

დაადგინეს: ,,ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2021 წლის ანგარიშის შესახებ'', მიღებულია ცნობად.

სხდომის დასასრულს განცხადება გააკეთა ემზარ შუბლაძემ.

მივესალმები იმ ფაქტს, რომ უკრაინისადმი მხარდამჭერი აქცია-პერფორმანსი ჩატარდა. მინდა ავღნიშნო განსაკუთრებულად, რომ ბატონმა ნუგზარ ჯამბურიამ მხარი დაგვიჭირა ჩვენს მიერ რამოდენიმე წუთიან აქციის ჩატარებასთან დაკავშირებით, (დროშა გადმოვფინეთ ადმინისტრაციული შენობიდან). აქ არიან ჩვენი კოლეგები, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მომავალი, ზოგიერთი კი არის ისეთი, რომელიც რუსეთს შეჰყურებს როდის შემოვა ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ მინდა ავღნიშნო ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი ფაქტი, ეხლა იხურება ძალიან სქელი რკინის ფარდა მთელ ცივილიზებულ სამყაროსა და რუსეთს შორის. ჩვენ ვდგავართ სერიოზული არჩევანის წინაშე. აუცილებელი არის, რომ ჩვენ არ დავრჩეთ ამ ფარდის მიღმა, იქ , სადაც მხოლოდ და მხოლოდ 4-5 სახელმწიფოა დარჩენილი ჩრდილოეთ კორეას ჩათვლით. სამწუხაროდ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან გაკეთებული განცხადებები მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო სწორედ ამ მიმართულებით მიყავს. ჩვენი თხოვნა იქნება, რომ საკრებულოს წევრებს ყველას მოგიწოდოთ შეაგონოთ, გააგონოთ ამ ხალხს, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაიკავონ სწორი პოზიცია უკრაინელი ძმების მხარდასაჭერად და ხელი შეუწყონ ამ ქვეყანაში რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ ნაბიჯების გადადგმას. გუშინ გაკეთდა განცხადება და მოგვიხსნეს ეკონომიკური სანქციები რძის პროდუქტებთან და ღვინოსთან დაკავშირებით, ხელისუფლება მუშაობს გეგმაზე, როგორ გაიტანონ საქართველოდან ეს პროდუქტები რუსეთში. ეს იქნება დამღუპველი სამომავლოდ ჩვენი ქვეყნისთვის. ჩემი თხოვნაა ან გაემიჯნეთ ამ პოზიციას, ან კონკრეტულად შეაგონეთ ამ ხალხს (პარტიის თავმჯდომარეს), რომ მტერი ერთი გვყავს და ამ დროს მაინც დავრჩეთ ერთ პოზიციაზე.

ვაჟა სტურუა - ვერ დაგეთანხმებით თქვენს მიერ გამოთქმულ პოზიციას, ცალმხრივად მიუღებელია. ეს არის თქვენი და თქვენი პარტიის მოწოდება. ჩვენი ცენტრალური ხელისუფლების ერთად ერთი მიზანი არის ევროკავშირში დაჩქარებული წესით მიღება. უკვე განაცხადი გაკეთებულია. მაგრამ თქვენ რასაც ბრძანებთ, რომ აქ ვინმე ზის ისეთი, რომელიც რუსეთის შემოსვლას ელოდება და ხელებაწეული დახვდება, მიმაჩნია, რომ ეს არის ჩვენი და საკრებულოს ყველა წევრის შეურაცხყოფა. არავინ არ მეგულება ჩვენს საკრებულოში, ვისაც ეს ფაქტი სურს და მხარს დაუჭერს. ეს არის თქვენი პოლიტიკური განცხადება და სხვა არაფერი. რასაც თქვენი პარტიის ლიდერები აკეთებენ სწორედ ის არის დამღუპველი ჩვენი ქვეყნისთვის.

გიორგი ლეჟავა - თითოეული განცხადება გათვლილია აგრესორისაგან საკუთარი ქვეყნის მაქსიმალურ დაცვაზე. იმაზე უნდა ვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ, რომ ჩვენი ქვეყანა რაც შეიძლება უკეთ იყოს დაცული ახალი განსაცდელისაგან. საქართველოსთვის ახლა ომში ჩაბმა გენოციდის ტოლფასი იქნება. დღეს, რასაც ჩვენი ქვეყნის პრემიერმინისტრი აკეთებს, გადარჩენის ერთადერთი გზაა. ისე უნდა მოვიქცეთ, რასაც ჩვენისთანა პატარა ქვეყნები აკეთებენ (ბულგარეთი, უნგრეთი, მოლდოვა). არ აქტიურობენ რათა ცეცხლის ქვეშ არ აღმოჩნდნენ. წითელი ხიდისკენ გამქცევთა პროვოკაციებს არ უნდა ავყვეთ. მშვიდობა და გონიერება გვმართებს.

ზაზა ადეიშვილი - მინდა ჩემი პირადი აზრი დავაფიქსირო. დამეთანხმებით იმაში, რომ მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური შეხედულებების განსხვავებისა, პოლიტიკურ ცხოვრებას ყოველთვის მოაქცვს თემები, რომელიც გამაერთიანებელია ერის და ქვეყნის. დაწყებული ის, რომ ყველანი ქართველები ვართ, ტერიტორიულ მთლიანობაზე ვფიქრობთ და ა.შ. ერთ-ერთი ასეთი თემა არის ჩვენი მოძმე სახელმწიფოსა და მოძმე ერის, უკრაინისა და უკრაინელებისადმი თანადგომის გამოხატვა და სოლიდარობა. ისედაც მაწუხებს ჩვენ ქვეყანაში გახლეჩილობა და პოლარიზაციის ხარისხის მატება და არ მაბედნიერებს, რომ ჩვენ შორის არის ასეთი დაპირისპირება და უფსკრული იქნება. მე იმ თემაში, რომელსაც ქვია გულშემატკივრობა უკრაინისადმი, 100%-ით გეთანხებით. ვერ გამოგყვებით აქცენტებში- რომ ამით ჩვენ, დავაკელით რაღაც უკრაინის მხარდაჭერას და ამით დღევანდელი ხელისუფლება ფარდის მეორე მხარეს რჩება. საქართველომ საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა მნიშვნელოვან შეკრებაზე, სამიტზე, ფორუმზე გამოხატა ერთ ერთი აქტიური მხარდაჭერა. ყველამ თავის პარტიის ხელმძღვანელს მიხედოს. ჩვენ ვეძებოთ ერთმანეთთან დასადგომი გზები. თუ საჭირო იქნება და მოხალისეები გამოჩნდებიან და წავლენ ვუგულშემატკივროთ. გეთანხმებით იმაში, რომ ჩვენი მომავალი დნეპრის ნაპირებზე იჭედება. დიდება უკრაინას.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი